



საქართველოს გენერალური პროკურორი

Prosecutor General of Georgia

№ 013/4

25 06 2019

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ თამარ ჩუგოშვილს

ქალბატონ თამარ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, გაცნობებთ, რომ 2019 წლის 25 ივნისს, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო წარმომადის წარმომადის არსებულ სისხლის სამართლის №ს 09230619001 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ პუნქტით გენერალური პროკურორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიეცა საქართველოს პარლამენტის წევრი ნიკანორ მელია (პირადი ნომერი №01017008081).

პრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, 2019 წლის 20 ივნისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის სასახლის წინ მიმდინარეობდა მიტინგი პროტესტის გამოხატვის მიზნით. მიტინგის მონაწილეთა მოთხოვნა იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის და სხვა მაღალი თანამდებობის პირების გადადგომა. მიტინგის მონაწილეთა შეკრება პარლამენტის სასახლის წინ დაიწყო დაახლოებით დღის 17:00 საათზე და 21:50 საათამდე მიტინგი ატარებდა მშვიდობიან ხასიათს. მოქალაქეთა შეკრების მიმდინარეობის დროს, დაახლოებით 21 საათზე, მოქალაქეებს სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის წევრმა ნიკანორ მელიამ და განაცხადა, რომ თუ ერთ საათში მათი მოთხოვნები არ დავმაყიდვებოდა, ყველას ერთად უნდა გადაეწყვლათ უშუალოდ პარლამენტის შენობაში. ვინაიდან ხსენებული მოთხოვნა არ შესრულდა, პარლამენტის სასახლეში შეკრის მიზნით მიტინგზე შეკრებილმა მოქალაქეების ნაწილმა, ნიკანორ მელიას ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით დაიწყეს პარლამენტის შენობის წინ, პერიმეტრზე განლაგებული სამართალდამცავების მიმართ ძალადობა, იარაღად სხვადასხვა ნივთების გამოყენებით მათზე თავდასხმა, ასევე სამართალდამცავთა კუთხისილი ნივთების დაზიანება და განადგურება. ზემოაღნიშნული

საქართველოს პარლაზონის აპარატი
საქართველოს მთავრობის დეისტიტიკი
შემოს.N: 1-12334/19
25.06.2019 წ. ფ. 4

ძალადობრივი ქმედებების შედეგად, სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღეს როგორც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა, ასევე პროტესტის მშვიდობიანად გამოხატვის მიზნით იქ შეკრებილმა მოქალაქეებმა.

ბრალდებულ ნიკანორ მელიას მიმართ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების როგორც ფორმალური, ისე ფაქტობრივი საფუძვლები. აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გამოიყენება, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმაღება, ჩაიდენს ახალ დანაშაულს და ხელს შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას და მტკიცებულებების მოპოვებას.

ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებისთვის, ბრალდების მხარე მხედველობაში იღებს არა მხოლოდ ჩვენს ეროვნულ კანონმდებლობას, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითა და სასამართლო პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს, რასაც უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ ღონეზე, ნებისმიერი პირის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. ევროკონვენციის მე-5 მუხლი ადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველებს, როდესაც სახეზეა:

- ა) საფუძვლიანი ეჭვი დანაშაულის ჩადენის შესახებ
- ბ) მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლის საფრთხე
- გ) მოწმეებზე ზემოქმედებისა და მათთან საიდუმლო გარიგებაში შესვლის საფრთხე

1. დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდი, (ფაქტობრივი) საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფაქტობრივი, ასევე ფორმალური საფუძველი. მტკიცებულებათა შეკრებისას სრულად დაცულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, ასევე საქართველოს კონსტიტუცია და პარლამენტის რეგლამენტი. განსახილველ საქმეზე შეკრებილია მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ სწორედ ნიკანორ მელიამ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება. ამდენად, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძველი და ამასთანავე სახეზე გვაქვს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტი, რაც გულისხმობს საფუძვლიან ეჭვს ბრალდებულის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ.

2. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური, (საპროცესო) საფუძველი.

ნიკანორ მელიას ბრალი ედება საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული, მძიმე კატეგორიის, ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაში, რომელიც სასჯელის სახით უაღტერნატივოდ ითვალისწინებით თავისუფლების აღკვეთას.

საქართველოს შს სამინისტროს ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ნიკანორ მელიას 2015-2019 წლებში საქართველოს საზღვარი გადაკვეთილი აქვს ოცდაოთხჯერ. აღსანიშნავია, რომ ბრალდებული მაღალი თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე სარგებლობს დიპლომატიური პასპორტით და მისი გამოყენებით 2017-2018 წლებში ექვსჯერ აქვს გადაკვეთილი სახელმწიფო საზღვარი. როგორც მოგეხსენებათ, დიპლომატიური პასპორტი პირს საშუალებას აძლევს ისარგებლოს უცხო ქვეყანაში შესვლის გამარტივებული პროცედურებით და პრივილეგიებით. მათ შორის უვიზოდ გადაადგილდეს შენგენის ქვეყნებში, გარდა ამისა, საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაადგილდეს საბაჟო და სასაზღვრო კონტროლის გავლის გამარტივებული პროცედურით. მხედველობაში ვიღებთ რა, ბრალდებულის საზღვარგარეთ ვიზიტებს, მისი მხრიდან დიპლომატიური პრივილეგიებით სარგებლობას და საზღვარგარეთ გამარტივებული პროცედურებით გადაადგილების ფაქტს, ასევე მის ფინანსურ შესაძლებლობებს,

გვაქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ნიკანორ მელია თავისუფლად შეძლებს საზღვარგარეთ სათანადო პირობების შექმნას, შესაბამისი კონტაქტების დამყარებას, საიმისოდ, რომ სამომავლოდ თავი აარიდოს მართლმსაჯულებას. ზემოაღნიშნულის გარდა, დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ნიკანორ მელია მიიმალება ამყარებს ის გარემოებაც, რომ არაერთ უცხო ქვეყანაში იმყოფებიან მასთან ახლო კავშირში მყოფი პირები.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საზღვრის კვეთაზე, საზღვარგარეთ არსებულ კონტაქტებზე და დანაშაულის სიმძიმეზე მითითება, ცალკე აღებული შესაძლებელია არ ასაბუთებდეს მიმალვის საფრთხეს, თუმცა აღნიშნული მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კუმულატიურად, სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში, რამეთუ მითითებული გარემოება თავისთავად მეტყველებს ბრალდებულის შესაძლებლობაზე, დაუბრკოლებლად დატოვოს საქართველოს ფარგლები და ისარგებლოს მისი კონტაქტებით.

როდესაც მართლმსაჯულებისათვის თავის არიდების საფრთხეზე და ბრალდებულის კონტაქტებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა მოვიშველიოთ არაერთი საქმე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან, (W. v. Switzerland, 26 January, 1993, paragraph 33; Barfuss v. the Czech Republic, 1 August 2000; Punzelt v. the Czech Republic, 25 April, 2000), სადაც სასამართლომ ბრალდებულის საერთაშორისო კონტაქტები საკმარის არგუმენტად მიიჩნია მართლმსაჯულებისათვის თავის არიდების საფრთხის დასასაბუთებლად.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ნიკანორ მელიას ბრალი ედება მასზედ, რომ მან შეძლო დაეყოლიებინა მშვიდობიანი მომიტინგები სამართალდამცავებზე ძალადობრივ თავდასხმაში, რაც მიუთითებს, რომ მას აქვს შესაძლებლობა გარკვეულ ადამიანებზე მოახდინოს გავლენა და დაიყოლიოს ისინი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. შესაბამისად, არსებობს რეალური საფრთხე, რომ ნიკანორ მელიამ უკვე გამოკითხულ და მომავალში გამოსაკითხ მოწმეებზე მოახდინოს ზეგავლენა, შევიდეს მათთან ფარულ გარიგებაში, რათა არ მისცენ მისი მამხილებელი ჩვენება. აღსანიშნავია, რომ პოტენციურ მოწმეთა შორის, რომლებიც იმყოფებოდნენ 2019 წლის 20 ივნისს რუსთაველის გამზირზე და ფლობენ ინფორმაციას ნიკანორ მელიას მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე, მათ შორის არიან მისი მხარდამჭერები. არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ აღნიშნულ პირებთან ბრალდებულს აქვს მჭიდრო კომუნიკაცია, რაც გაუადვილებს მათთან ფარულ გარიგებაში შესვლას და მათ დაყოლიებას, არ მისცენ მისი მამხილებელი ჩვენება. აღნიშნული ქმედებით ნიკანორ მელია ხელს შეუშლის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების მოპოვებას, რითაც ჩაიდენს ახალ დანაშაულს. თქვენს ყურადღებას მივაძყრობთ იმ ფაქტს, რომ ნიკანორ მელიას ბრალად წარდგენილი ქმედება ჩადენილი აქვს იმ პირობებში, როდესაც მის მიმართ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია გირაო. შესაბამისად, ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენებამ ვერ უზრუნველყო ბრალდებულის სათანადო ქცევა და აღკვეთის ღონისძიების მიზნები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რეალური საფრთხე, რომ ნიკანორ მელიამ შესაძლოა ჩაიდინოს ახალი დანაშაული.

ევროპულმა სასამართლომ მის არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ წარსულში ბრალდებულის მაღალი თანამდებობრივი მდგომარეობა და ამ ფონზე, მოწმეებზე ზემოქმედების რისკები რეალურად ასაბუთებდა აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობას. მაგალითისათვის მოვიყვანთ 2013 წლის 09 იანვრის გადაწყვეტილებას, საქმეზე „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა, ეროვნული საგამომძიებო ორგანოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბრალდებული მოახდენდა საქმეში არსებულ მოწმეებზე ზეგავლენას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულთან დაკავშირებული პირები იყვნენ

ძირითადი მოწმეები და მსგავსი გარემოებების დროს არსებობდა შესაძლებლობა ბრალდებულს ზეგავლენა მოეხდინა მათზე. მოცემულ ვითარებაში აღნიშნული რისკები ვერ გამოირიცხებოდა.

საქმეზე „კონრადი იტალიის წინააღმდეგ“ (1998 წელი) - განმცხადებელს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა, რაც მან გაასაჩივრა სტრასბურგის სასამართლოში. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ მიუთითა ბრალდებულის პიროვნება, საქმიანობა და პროფესიული კაშირები. მოწმეებთან პირადი კავშირები მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ დიდი ალბათობით მოხდებოდა მათზე ზემოქმედება და შესაძლებელი იყო მტკიცებულებების განადგურება. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ ბრალდებულისა და მოწმეების ჩვენებების სამომავლო კოორდინირება, მათი ჩვენებების შეთანხმება იყო რეალური რისკები და ამ ფონზე პატიმრობის გამოყენება იყო რელევანტური.

2009 წლის 03 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“, სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა რისკი, რომ ბრალდებული ისარგებლებდა მისი, როგორც ყოფილი მაღალჩინოსნის ავტორიტეტით, შეცდებოდა პროცესის მონაწილეებზე ზემოქმედების მოხდენას. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული არ იყო უსაფუძვლო ვარაუდი, მითუმეტეს მიმდინარე გამოძიების ეტაპზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, დანაშაულის სიმძიმის, ხასიათისა და ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილში მითითებული სხვა გარემოებების გათვალისწინებით, აღკვეთის ღონისძიების მიზნების უზრუნველყოფა შესაძლებელია ბრალდებულ ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების პირობებში, ხოლო სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს. ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება იქნება მყარი გარანტი, მისი სათანადო ქცევის უზრუნველსაყოფად, გამოძიებისა და შემდგომ სასამართლო განხილვის ეტაპზე.

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და პარლამენტის რეგლამენტის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პარლამენტის წევრის დაპატიმრება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოსათვის ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მიზნით, მოგმართავთ თხოვნით გასცეთ კანონით გათვალისწინებული თანხმობა მისი დაპატიმრების თაობაზე.

პატივისცემით,

საქართველოს გენერალური პროკურორი

შალვა თადუმაძე